რედაქცია: სოლოლაკზე, ბ. ღიხ ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43
კანტორა რედაქციისა: მ. ელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩ ზე.

ხელის-მოწერა: მიიღება კანტორაში. Бареше მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვისა—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

უოველ დღე ოთხშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნოემერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, ხომხურს და სხვ. ენებზე.
ფასი განცხადებისა: ერთ-ერთ ადგილზე—[illegible] ერთ-მეორეზე—[illegible] სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

Библиотека Грузинского Университета

სამი თვის ხელის-მოწერა

„დროებაზე"

1 ოქტომბრიდამ
ამ 1877 დამლევამდე

მიიღება თფილისში, „დროების" რედაქციაში (ბანოვის ქუჩაზე, სტ. მელიქიშვილის სტამბაში). სხვა ქალაქებში „დროების" აგენტებთან.

ფასი სამი თვის გაზეთისა—3 მან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба".*

ტელეგრამები

ბრძოლის ველიდამ

პარიჟი, 10 ოქტომერს. ლონდონის გაზეთის „Standards"-ის სიტყვით, ოსმალოს ელჩს პარიჟში მოუვიდა პროექტი პირობისა, რომლითაც ოსმალეთი მორიგებაზე დათანხმდებოდა, თუ რომ ევროპის სახელმწიფოებს იმასა და რუსეთს შორის შუამდგომლობა ეკისრა.

ლონდონი, 10 ღვინობისთვეს. გაზეთს „Times"-ში რაზგრადიდამ იწერებიან, რომ სულეიმან-ფაშამ დაიწია რაზგრადიდამ, რადგან ცუდი ტროსების გამო ჯარს შეშის და წყლის შოვნა დაძნელებული იყოო.

ომის ამბები

აზიის ბრძოლის ველიდამ

დიდ მთავარმა კავკასიის არმიის მთავარ-სარდალმა, მუხთარ-ფაშის დამარცხების თაობაზე, შემდეგი დეპეშა გაუგზავნა ბორნი სტუდენში ხელმწიფე იმპერატორს:

„**ყარაიალი**, 3 ღვინობისთვეს. ბედნიერი ვარ, რომ თქვენს უდიდესობას ბრწყინვალე გამარჯვება შემიძლიან მოულოცო: დღეს მუხთარ-ფაშის არმია სრულიად დამარცხებულია, და იმას ყარსის გზაც შეკრული აქვს. ჩვენს ხელში ჩავარდნილი ზარბაზნებისა და ტყვეების ანგარიში ჯერ ცნობაში არ არის მოყვანილი; ამასა და აგრეთვე ჩვენს ზიანს მალე მოგახსენებთ."

—

ბუშინდელს „კავკაზში" დაბეჭდილია შემდეგი კერძო დეპეშა 5 ოქტომბერს ყარაიალიდამ მიღებული:

„3-ს ღვინობისთვეს ჩვენ დავატყვევეთ 26 ბატალიონი მუხთარის ჯარი, შვიდი ფაშა: ომერ, რეშიდ, შევქეთ, ომერ, ოსმან, მაჰმედ—ფაშები და შტაბის უფროსი ჰასსან-ფაშა. ამას გარდა 241 აფიცერი. მუხთარ-ფაშა დაჭრილია.

„ჩვენის მხრით 1,200 კაცია დაჭრილ-მოკლული; შემდეგი აფიცრები არიან დაჭრილი: მაიორები: ფონ-დერ-ნონე, თ. პუტიატინი და სპიროვი; პორუჩიკები: სერეადა, ქელლერი და მეფუტაძე; პოდ-პორუჩიკები: ალამალოვი, თ. თარხან-მოურავოვი, ვალიანსკი და თ. ბარათოვი.

„მუხთარ-ფაშა 20 ბატალიონით ქვეითა ჯარითა და ამას გარდა ცხენოსანი ჯარითა და არტილერიით ყარსში გაიქცა. ჩვენ დიდძალი საომარი მასალები დავგრჩა.

„ჩვენი მთავარი კვარტირა ახლა ბიზინქევია ყარსის პირ-და-პირ."

—

ამავე გაზეთს 9 ოქტომბერს მოუვიდა ჭიურუკ-დარიდამ შემდეგი დეპეშა კერძო კორრესპონდენტისა:

„ჩვენს ხელში ჩავარდა 280 აფიცერი 7,000 სალდათი და 42 ზარბაზანი. ამბობენ, რომ მუხთარ-ფაშა არზრუმში გაიქცაო.

„ჩვენი ჯარები გარს-შემოერტყნენ ყარსსა. ჩვენი მთავარი კვარტირა დიდ-თექმაში იმყოფება.

—

„მოსკოვის უწყებებში" გაცხარებული სტატია არის დაბეჭდილი მუხთარ-ფაშის დამარცხებაზე. გაზეთი ამბობს, რომ თუ ჩვენმა კავკასიის არმიამ ამ გამარჯვების შემდეგაც ისეთი მხნეობა და ენერგია გამოიჩინა, როგორც თვითონ გამარჯვების დროს, უეჭველია, რომ ყარსისა და არზრუმის აღება ჩვენ არ გაგვიჭირდებაო.

—

იგდირელი კორრესპონდენტი გაზეთის „Голосъ"-ისა სხვათა შორის, შემდეგ ახირებულ ამბავს იწერება ამ გაზეთში:

„ყურადღების ღირსია ის საშუალება, რომელსაც ხმარობენ ხოლმე ოსმალოები იმისთვის, რომ, გაჭირების დროს, ბრძოლის ველზე თავის დახოცილები არ დასტოვენ: ორი სალდათი გადააცვამს ხოლმე დაჭრილს ტანზე საბელსა და ისე მიათრევენ საჩქაროთ, რომ ჩვენ არ წავართვით."

მეორე ამბავი, რომელსაც ესვე კორრესპონდენტი მოგვითხრობს, კიდევ უფრო შესანიშნავია:

„გასაკვირველია ის ერთგულება და სიყვარული, რომელსაც ცხენები უცხადებენ ოსმალოს სალდათებსა: რამდენიძე შემთხვევა მოხდა, რომ ჩვენმა სალდათებმა ჩაავლეს აღვირში ხელი ოსმალოებისაგან მიტოვებულ ცხენებსა, მაგრამ ვერას გზით ვერ დასძრეს ალაგიდამ; მათრახით, ჯოხით მიადგებოდნენ ცხენს, სცემდნენ რაც შეიძლოთ, მაგრამ ის ტოკავდა და თავის ალაგიდამ ფეხს არ იცვლიდა..."

ევროპის ბრძოლის ველიდამ

იასსელი კორრესპონდენტი გაზეთის „Голосъ"-ისა შემდეგ ამბავს იწერება ამ გაზეთში ბოლგარიის ბრძოლის შესახებ:

„დარწმუნებით ამბობენ, რომ რუსებსა და რუმინებს ამ ჟამად 260,000 კაცი ჰყავთო, და ამ ჯარის სხვა და სხვა ნაწილები ისეთს ალაგებზედ არის დაბანაკებული, რომ საჭიროების დროს ყოველთვის შეუძლიანთ ერთმანეთს დაეხმარონ...

„პლევნოსთან ახლა დაიწყეს რუსებმა და რუმინებმა საქმის წაყვანა ისე, როგორც ადრე უნდა წაეყვანათ: ისინი ამაგრებენ თავის პოზიციებსა და ამნაირად ნელ-ნელა უახლოვდებიან ამ ქალაქს. მხოლოთ ამგვარის საშუალებით შეიძლება შემდეგში იერიშით მისვლა და აღება პლევნოსი.

„შიპკა ჯერ კიდევ ჩვენს ხელშია, თუმცა ამ გადასავალის დაჭერა ჩვენ ერთობ ძვირად დაგვიჯდა: ამბობენ, რომ მარტო აქ რუსების მხრით 400 აფიცერი არის დღევანდლამდინ მოკლული და დაჭრილიო.

„ამბობენ, რომ მემკვიდრის არმია, რომელიც მდ. ინტრასა და ლომს შუა

დგას, წინ გაწევასა და Ოსმალოს ჯარზე (Სულეიმან-ფაშაზე) თავს-დასხმას აპირებსო. მაგრამ ამ ორი კვირის განმავლობაში, სანამ კიდევ ახალი ჯარები არ მოუვათ, არა მგონია, რომ იმან Სულეიმან-ფაშის თავს-დასხმა იკისროს.“

—

„Рейтерის ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲨᲘ“ ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘᲓᲐᲜ იწერებიან, რომ, ᲑᲐᲘᲠᲐᲛᲘᲡ დღესასწაულობის გამო, ხონთქარმა ყველა თავის ჯარის სარდლებს მისალოცავი დეპეშა გაუგზავნა, რომელშიაც სხვათა შორის აცხადებსო, რომ „ᲐᲚᲐᲰᲘᲡ შემწეობით, სრული იმედი აქვს, რომ იმის ჯარები მალე გამარჯვებულნი დაბრუნდებიან თავის ქვეყანაშიო.“

—

ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘᲓᲐᲛᲔᲕᲔ რუსულს გაზეთს „Новое Время“-ში იწერებიან, რომ მდიდარმა პოლშელმა ᲕᲚᲐᲓᲘᲡᲚᲐᲕ ᲞᲚᲐᲢᲔᲠᲛᲐ ოთხი მილიონი ფრაკი მოიტანა აქ იმ განზრახვითო, რომ პოლშელებისაგან ცალკე ლეგიონი (ჯარი) შეადგინოს და ამ ომში რუსეთის წინააღმდეგ დაეხმაროს Ოსმალეთსაო.

—

„ᲮᲐᲚᲮᲗᲐ-ᲨᲝᲠᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ“ გვაცნობებს, რომ 30 ენკენისთვეს 1,500 კაცი ᲕᲔᲜᲒᲠᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲝᲚᲝᲜᲢᲔᲠᲘ ძალით გადავიდნენ რუმინიაში და ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ჯარის შესაერთებლად მიდიანო. რუმინიის მთავრობას ჯარი გაუგზავნია ამათ წინააღმდეგ.

ᲐᲛᲒᲐᲠᲡᲐᲕᲔ ამბავს გვაცნობებს ᲑᲣᲮᲐᲠᲔᲡᲢᲘᲓᲐᲛ 2 ღვინობისთვეს მიღებული დეპეშა: რამდენიმე ასი დაიარაღებული ᲕᲔᲜᲒᲠᲘᲔᲚᲘ გადმოვიდა ჩვენ სამზღვარზედაო; მთავრობისაგან გაგზავნილმა ჯარმა გაჰფანტა ისინიო. ᲕᲔᲜᲒᲠᲘᲘᲡ სამზღვარზე ყარაულათ რუმინიამ ჯარები დააყენაო.

—

„ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲣᲬᲧᲔᲑᲔᲑᲨᲘ“ დაბეჭდილის ოფიციალურის სიით ეტყობულობთ, რომ ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲘᲡ რუსის არმიაში იმყოფება ამ ჟამად: 849 ექიმი, 146 აფთიაქარი, 123 ვეტერინარი (პირუტყვის ექიმი) და 3,285 ფერშალი. ᲐᲛᲐᲨᲘ არ არის მოყვანილი პროფერორები და მედიცინის სტუდენტები, რომელთაც რიცხვი რამდენსამე ასს კაცს შეადგენს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

ᲛᲐᲚᲐᲠᲝ, 2 ღვინობისთვეს. რაღა თქმა უნდა, ჩინებული განკარგულება და კანონია, რომ გლეხ-კაცს დაენიშნა მოსამართლედ თავისივე მეზობელი, თავისავე ალმორჩევით; მაგრამ გაბედვით ვიტყვი, რომ მრთელს ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ იშვიათათ იპოვება იმისთანა სოფელი, რომელშიაც იყოს კეთილ სინდისიანი მსაჯული, სჯიდეს კანონიერათ და არ უყურებდეს პურ-მარილსა, ქრთამსა, მეგობრობასა და მეზობლობასა.

ᲐᲛᲘᲡ მაგალითი ძრიელ-ᲑᲔᲕᲠᲘ ᲛᲘᲜᲐ ხამს თვალით და კიდეც გამიგონია, მაგრამ ერთმა შემთხვევამ, რომელსაც თვით მე ყური უგდე ᲡᲘᲦᲜᲐᲚᲘᲡ მომრიგებელ სასამართლოში, ძრიელ გამაკვირვა. ᲛᲘ იყო შემდგომი:

ᲔᲠᲗ პირს ერთი ოჯახის-შვილისაგან ექირავნა გუთანი და მიეცა პირობა, რომ ხუთი დღისა უნდა მოეხნა, ფასი სრულებით წინათვე მიეღო. ᲐᲛ ოჯახის-შვილს გაეტანა გუთანი და მოეხნა ოთხი დღის სახნავი მიწა, რომელიც მდებარეობდა ერთს ადგილას; ხოლო მეხუთე დღიური ყოფილიყო განშორებით. შემდგომ რამტენისამე დღისა, კიდენ გაეტანა ამ ოჯახის-შვილს გუთანი, მოსახნავათ ამ მეხუთე დღიურისათვისაც და ჰხედავს, რომ ეს მიწა მოხნული არის; მაშინვე გამოაბრუნებს გუთანს, მივა პატრონთან და ეტყვის: თუ კი მიწა მოხნული გქონდა, ან ფასი რაღათ მომეცი, ან რათ მაწვალე და ან დღეს რაღათ მომაცდინე? მაგრამ მე რა: ფასი ხომ მიღებული მაქვს! ᲐᲛ მიწის პატრონმა დიდათ გაიკვირვა, რომ მე ჩემი მიწა არ მომიხნამს და ვინ მოხნავდა? შემდგომ ᲑᲔᲕᲠᲘᲡ ძებნისა იპოვნა მომხვნელი გუთნის პატრონმა, თუმცა მეხუთე დღისა არ მოეხნა, მაგრამ ფასი აღარ დაუბრუნა, რადგანაც იმის გულისათვის იმ დღეს მომცდარიყო. მიწის პატრონს ეთ-

5

ᲤᲔᲚᲢᲝᲜᲘ

ᲐᲠᲐᲚᲝᲜ ᲛᲐᲠᲙᲝᲕᲘᲩᲘ

მოთხრობა Ардовისა

—

ᲐᲠᲐᲚᲝᲜ მარკოვიჩი წამოიწია საკარძლიდგან. პატარა თვალებმა მისმა განიელვეს შეურაცხყოფის მოგონებაზე. Თითქოს ერთი გოჯი სიმაღლე მოემატა. Ერთი წამის შემდეგ ისევ დაჯდა, სულ მიეკუნჭა საკარძლის კუთხეში და იჭვნეულის ბღვერით დამიწყო ცქერა.

— Თქვენ გეცინებათ, მოწყალეო ხემწიფე, დაიწყო მან მრისხანეთ, თუმცა ჩემ სახეზე კვალიც არ ყოფილა სიცილისა. Თქვენ გეცინებათ, რომ მე ჩემს ხნ ვანებაში მართლათ მივიღე აფეთქა კეკლუცი ყმაწვილი ქალისა, რომელიც მხოლოთ იმისთვის მიენდო ბუნების სურვილს, რომ უფრო კარგათ შეეტყო—თუ რა არის სიყვარული და გაემინჯა ვისმეზე თავისი ძალა. Შეიმაგრეთ სიცილი, სასაცილო შემდეგში უფრო მეტია!... Რასაკვირველია, პირველი ჩემი აზრი იყო, რომ ბარათი უკანვე მიმეღო. Მივსწერე ძალიან ღირსეული მოკლე ბარათი, რომელშიაც მოვიხსენე რაც გამეგონა, გადაეკარი მისი ხნოვანების შეუფერებელ კეკლუცობაზე და მოვითხოვე ჩემი ბარათი. Როგორც ჰხედავთ მე ისე მოვექეცი მას, როგორც შეჰფერის უგუნურ ყმაწვილ ქალს. Მინდოდა მეთქვა, რომ შემდეგაც აგრე ღირსეულათ ვეპყრობოდი მას; მაგრამ არა: ᲕᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐ სჯობიან! Უმაღლეს თავის დამცირებამდი ახწევინებდა თავს ᲐᲠᲐᲚᲝᲜ მარკოვიჩი!... ᲑᲐᲠᲐᲗᲘ გადავეცი დანიშნულებისა-დაგვარად, მოწაფის რვეულით, რომელზედაც ლექციის გათავების შემდეგ მივიღე ახირებული პასუხი: „ᲑᲐᲠᲐᲗᲘ დამწვარია!“ Არც თავის მართლება, არც ბოდიშის მოთხოვა, არაფერი! Პირველი ოინი ამით გათავდა.

—ᲐᲠᲐᲚᲝᲜ მარკოვიჩმა გადაყლაპა მწარე აბი. Ძალიან კარგი. ᲑᲐᲘᲐᲠᲐ ამ გვარათ ერთმა წელიწადმა, იქნება მეტმაც. Ჩვენ არავითარი დამოკიდებულება არ გვქონია ერთმანეთთან. Ის გადავიდა ჩემი კლასიდგან და შევიდა პაპინიერკათ. ᲮᲔᲓᲐᲕᲔᲓᲘ, რომ მისი ცხოვრება ტკბილი არ იყო, მაგრამ რა უნდა მექნა.

Ერთხელ ლექციის გათავების შემდეგ მივდიოდი იმ დერეფანში, სადაც მომიგდა დაუვიწყარი შემთხვევა. მე დამიძახეს. Ფანჯარასთან, სწორეთ იმ ფანჯარასთან, სადაც მე ისე მათამაშეს, იდგა კიდევ ის. მე მივედი, მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ ყველა შემთხვევისათვის მზათ ვიყავი, და ძალიან გულ-ცივათ ვკითხე, რა ნებამდა.

— ᲑᲐᲮᲡᲝᲕᲡᲗ, რა მოხდა აქ? Მკითხა მან პირ-და-პირ. Კითხვა იყო ისეთი მოულოდნელი რომ მე პასუხი ვერ მოვახერხე.

— ᲐᲠᲐᲚᲝᲜ მარკოვიჩ! Დაიწყო მან და ჩამაეღო ხელი ხელში. Ჭრუანტელმა დამიარა; მე დამავიწყდა ჩემი აღრინდელი განზრახვა: რომ არ მიენდობოდი მას, და როგორც სულელი მივჩერებოდი. Მე მინდოდა განმეთავისუფლებია ხელი მისგან და თანაც უჭერდი კიდეც მის პაწაწა ხელებს.

— Მე დანაშაული ვარ თქვენთან, მეუბნებოდა ის, მაშინ მე ვიყავი ყმაწვილი; მე მეშინოდა ჩემი მოქმედების შედეგის. Ეხლა მე შემიძლიან თქვენი დაფასება, და თუ თქვენ არ გამოგიცვლიათ თქვენი განზრახვა....

Მე აღარ დავასრულებინე სიტყვა. შემოვხვიე ორივ ხელები და მივიზიდე ჩემსკენ.

— Მე ხომ არაფერი გამაჩნია, ᲚᲘᲣᲑᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲝᲕᲜᲐ. Ჩემი დიდება შესდგება ჩემი შრომიდგან.

ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ წასულიდგან მე მხოლოთ ის გამახსენდა, რომ მას სილარიბის ᲔᲨᲘᲜᲘᲐᲜ!

ქვა მომხვნელისათვის, რომ მე ჩემი მიწა უნდა დამიბრუნო და შენს თესლს მოქცევ და ერთს დღეურსაც — სადაც გინდა იქ გიხნამ. მომხვნელს უარი ეთქო; ეგრე კი არა, მე ქირას მოქცევ შენს მიწაში რაც დაწესებული არის. შემდგომ მორიგებულიყვნენ ისევ თანხმობით, რომ რაც იმ მიწაში გამოსავალი იქნებოდა, ის ორი წილი უნდა მიეღო მიწის მოხვნელს და ღამთესველს, ხოლო მესამე მიწის პატრონს.

ამაზედ არავითარიმე წერილი არა შაუდგენიათ-რა.

მომკის დროს მიწის პატრონი თავის საჭირო საქმისათვის წასულიყო თფილისში; სანამ იქიდამ მობრუნდებოდა, ამ მოხვნელმა და დამთესველმა მომკო, გალეწა და ჩაიფარა ორმრში სრულებით. როდესაც მიწის პატრონი მობრუნდა თფილისიდგან, შეიტყო, რომ იმ მიწაში გამოსულა ცხრამეტი კოდი პური და ოვედი აქვს, რომ მესამედს მიიღებს; მაგრამ როდესაც სთხოვს, უარს ეუბნება. „მე შენ არას მოქცევ, წადი და სადაც გნებავდეს იქ იჩივლე!“ მიწის პატრონი წამოსულიყო და ეჩივლა სიღნაღის მომრიგებელ სასამართლოში. ბარჩევის დროს თვითონ მე იქ ვიყავი; მიწის პატრონმა აუხსნა ყოველი გარემოება.

მოსამართლემ ჰკითხა მოპასუხეს:— რატომ არ აძლევო? პასუხის მაგიერათ მიწის მომხვნელი იღებს ნახევარ თაბახ ქაღალდს სოფლის მსაჯულებისაგან სამის ბეჭდით დაბეჭდილს და აძლევს მოსამართლეს. ამ ქაღალდში სწერია, რომ ვითომც მსაჯულებთან ელაპარაკნოთ და მსაჯულებს მიწის პატრონი გაემტყუნებინოთ... მიწის პატრონი პირველვარს იწერამს: დიდება შენთვის ღმერთო, როდის გვქონდა მსაჯულებთან საჩივარი, მე წერა ვიცი, რატომ ხელი არ მიწერია? მოსამართლემ, რაკი შემოწმებული ქაღალდი დაინახა, იმ საქმის გარჩევაში აღარ შეიდა და უთხრა: თუ გინდა მაგ ქაღალდის დარღვევა, ღუბერნატორთან იჩივლეო, და ამით გაათავეს საუბარი.

ა. შ—ოვი

საგაასო

დიახ „მაძღარს“ სიღნაღელს *)

(დასასრული)

მაშასადამე, თუმცა სიღნაღელები შეიარაღებულან, მაგრამ ეს შეიარაღება იმათ არა უშლით, რომ თავის ოთახებში, ან ციხის კარებთან თბილათ, გემრიელათ, უდარდელათ იუშვინონ და გამაძღარ მუცელზედ ტკბილი სიზმრები ინახულონ.

დარჩა უკანასკნელი სიტყვა:

„მაძღარი სიღნაღელი“ ბეჭედ უკრავს კ. ბ—შვილს ზნეობითი და მატერიალურ მხრით დაცემაზედ ქიზიყელებისა „მართალიაო,“ ფილოსოფოსობს „მაძღარი სიღნაღელი,“ მოწყვეტილნი ორივ ჯანზედა ქიზიყელი გლეხკაცები, დაჩაგრული და მშიერი, მაგრამ სიღნაღელებისა რა ბრალია?“

როგორ თუ რა ბრალია? სიღნაღელებისა ბრალიაობას და უბრალელობას კი არ მოგახსენებენ, იმას ამტკიცებს ბ—შვილი, რომ მაძღარი, თამამი და შესვენებული კაცი უფრო გულადათ დახვდება მტერს, ვინემ ჯანზედ მოწყვეტილი. სიღნაღელები და ქიზიყელები ორნივ ერთი მამულის შვილები ვართ, ორნივ ერთ კანონ ქვეშ, ერთ მფლობელობის ქვეშ ვცხოვრობთ; ჩვენი ცხოვრობა, სიამოვნება, სიკეთე, უსიამოვნება დამოკიდებულია ურთიერთა ზედ-მოქმედებაზედ, ერთმანეთის ხელის-გამართვაზედ, ერთმანეთის დახმარებაზედ, ერთმანეთის თანაშემწეობაზედ. ჩვენა გვაქვს საზოგადო ინტერესები, საზოგადო გაჭირება, საზოგადო მოთხოვნილება — ჩვენა გვყავს ერთი, ყველასთვის საზოგადო მტერი და მოკეთეც; ჩვენ ყველანი მოვალენი ვართ მტრის ხელისგან დავიცვათ ჩვენი მამული, ჩვენი სარწმუნოება, ჩვენი ცხოვრება, ჩვენი პატივი და ღირსება.

ჩვენ ეხლა, დღეს, გამოგვიჩნდა ერთი მტერი, ორივეს გამაფუჭებელი და ჩამყლაპავი; ჩვენ ორნივ, ზნეობით და ყველა კაცურ კანონების ძალით, მოვალენი ვართ მტერს ორნივ ერთათ მივეგებ-

*) „დროება“ № 162.

— Mითქოს მე ვირჩევდე! მწუხარებით მიპასუხა. ბუვერნანკის ხვედრი ტკბილი არ არის.

ეს სიტყვები მან წრფელის გულით სთქვა; სხვა ამ შენიშვნას კარგათ დაუკვირდებოდა, და მე კი ავავლე ყური. მან კი ორი უსიამოვნო მდგომარეობიდან ამოირჩია ერთი უმცირესი. და გამომყვა მე ცოლათ, რადგან უკეთესი არ ჰყავდა. მე ბედნიერი ვიყავი, მოწყალეო ხელმწიფე; ჩემს სიცოცხლეში პირველად ვიყავი ბედნიერი...პკოცნიდი მის ხელებს. Iსიც არ მეწინააღმდეგებოდა.

— როგორ გიყვარვართ! შემნიშნა მან. Mქვენ ყველაფრისათვის მზათა ხართ ჩემთვის?

— Mითქოს ამაში ეჭვი იყოს! წამოვიძახე მე.—ბანა ვერ ჰხედავთ? Eრთი თქვენი სიტყვა საკმაოა, რომ ჭკუიდგან შავიშალო!

მან გაიცინა. ამ დროს გვერდით კლასებში კანტორკები დაახრაგუნეს.

— Eრთი სიტყვა ამ საგანზე არავის უთხრათ. Aრეულათ მითხრა მან. Mომწერეთ ბარათი და მეც გიპასუხებთ.

ბავიდა ერთი თვე ამ შემთხვევის შემდეგ. ჩვენ ვხედავდით ხოლმე ერთმანეთს ხშირათ, და მიწერ-მოწერა გვქონდა კიდე უფრო ხშირათ. Yოველ ბარათში ის უფრო და უფრო ტკბებოდა, და რწმუნდებოდა ჩემზე. Uთვალავი ზრუნვა მომავალისათვის და სახლეობის მოლოდინი ტკბილათ მართობდა მე მიწერ-მოწერისა და ნახვის შემდეგ. Aპალონ მარკოვიჩი გაცოცხლდა; მას ეგონა, რომ ვერავითარი შეურაცხყოფა ადამიანისა ვერ შეეხება მას. და ან კი რაღა საქმე ჰქონდა მას კაცობრიობასთან, როდესაც ის თვითონ, მთელს სასუფეველს ატარებდა გულში! Dიახ! Iს დედა-მიწას ველარ ეკრძნობდა ფეხებ ქვეშ; მთელი თვე ჰაერში დაფრინავდა. და როდესაც ის ისეთ სიზმარში იყო ცხადათ, როდესაც ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ როგორმე უკეთ გაეჩაღებია თავისი კერა, მას უპირობდნენ გამოღვიძებას, რომელსაც უნდა მოესპო მისთვის ყველაფერი!..

Iნსტიტუტის ერცელ არე-მარეში გამოჩნდა ხარიტონოვის მეუღლე. Mქვენმა პატივცემულმა ბიცოლამ ნახა თუ არა ჩემი დანიშნული ინსტიტუტის უფროსთან, გადაწყვიტა, რომ მარტო ის აკლია იმის სასტუმროს მორთულობას: იმას ჰყვანდა სულ სხვანაირი ჯინშის ძაღლი, გასაოცარი, პატარა Aნგორის კატა და თუთიყუში. Aკლდა მხოლოთ ორ-ფეხი ცხოველი, შემკული იმ გვარის ღირსებაებით, რომ დაეტკბო მისი მხედველობა და გაერთო იმის დიდკაცური მოწყენა!... Dაიწყო მით, რომ უფროსის თანხმობით Lიუბა წაიყვანეს ინსტიტუტიდგან მთელი დღით. შემდეგ დაერთო პატიჟობა პატიჟობაზე. ბამოერეოდა დღე თუ არა, როცა ის არ ყარაულობდა, Lიუბას მოსდიოდა კარეტა და ჩემი საცოლო იკარგებოდა მთელი დღეობით! Sად, რა საზოგადოებაში—მე არაფერი არ ვიცოდი. ბარათებზე პასუხს აღარ მაძლევდა. ჩემს შენიშვნებზე მომიგებდა ცხარათ: ის ჯერ ჩემი ცოლი არ იყო და არავითარი უფლება არა მქონდა ბძანებისა. Dამეთანხმებით, მოწყალეო ხელმწიფე, რომ ჩემი მდგომარეობა უკიდურეს სისულელემდე იყო მიხწეული. Eსეც უნდა იცოდეთ, რომ ის სარგებლობდა ჩვენი დამოკიდებულების საიდუმლოებით! მე თქვენ გარწმუნებთ, რომ მე მზათ ვიყავი, თმა მეგლიჯა თავიდგან და იყო ისეთი წამები, რომ ვიგლეჯდი კიდეც; მაგრამ რას მშველოდა! Aრ შემიძლიან გითხრათ რამდენ ხანს გაგრძელდა ეს ჩემი ჯოჯოხეთური მდგომარეობა: ერთს მშვენიერს დილას მომდის უკან ყველა ჩემი ბარათები და საჩუქრები....

(ბაგრძელება)

ნეთ, ერთმანეთს მხარში ამოუდგეთ, ერთ ალაგას ორთავემ სისხლი დაღვაროთ, ერთათ ერთხმად ორნივ მტერს ვეტაკოთ. ამ ორში რომელს უნდა ეკუთნოდეს უპირატესობა, ომის მოთაობა, პირ-და-პირ მტრის შეგებება—შესვენებულს, თამამს, გამაძღარს,—თუ დაღლილს, ჯანზედ მოწყვეტილს და დაძაბუნებულს? რასაკვირველია პირველებს; ამისთვისაც საჭიროა, რომ სიღნაღელეგიც ალაზანზედ ქიზიყელებს წინ მიუძღოდენ, რასაც ამტკიცებს ბ—შვილი თავის მოკლე კორრესპონდენციაში. იქნება ეს სიღნაღელებს არ ეამათ, იქნება ძრიელაც გამწარდნენ და სადილის იმტა დაკარგეს—მაგრამ სიმართლე, ჭეშმარიტება, სინდისი თხოულობენ ამასა.

რაც შეეხება იმას, რომ ვითომც სიღნაღელები რომ ალაზანზედ გავიდნენ, აქ აღარავინ დარჩებაო, ძრიელ ტყუილშიშია და უმაწვილური გამართლებაა თავისა. სოფლის ხალხიც ხომ სრულიად არ გარეკეს; ზოგი რომ გავა, მომეტებული სიღნაღშივე დარჩება; მისთან სიღნაღში არის კამანდა.

იმაზედ კი, ვითომც ქიზიყელები დღეობებით იღუპებიან მოვახსენებ, რომ ეგეც ცოცხალი სიცრუეა: თუ არა აქვს არც იდღეობებს. მაგრამ ამ კითხვის გადაწყვეტა რა „მაძღარი“ კაცის საქმეა!

ბამალეტი იტყვის:

— ძმაო ბორაციან! ბევრია რამ არის ქვეყანაზედ, რაც ჩვენ ბრძანებსა არც კი სიზმრებიათ!..“

ეს კითხვა არის წმინდა ეკონომიური; სად ეკონომიური მეცნიერება და სად „მაძღარი სიღნიღელი?“ სად დღეობა და სად სიღარიბე!..

მეზობელი

განცხადებანი

ფოჩტის სახლის ქვეშ გაღებულია **საძროე სარდაფი**, რომელშიაც მსურველს შეუძლიან იყიდოს: რძე, ერბო, მაწონი და სხვა ყველაფერი, რაც რძისაგან ნაწარმოებია.

(3—2)

ქუთაისში, გუბერნიის ტიპოგრაფიაში **იბეჭდება** და ამ დღეებში გამოვა

„ᲪᲝᲚᲘ ᲗᲣ ᲒᲘᲜᲓᲐ, ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ“!

ერთ-მოქმედებიანი ოდეევილი **ვას. აბაშიძისა.**

(3—2)

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲔᲑᲘ

შეგროვილი და გამოცემული

ᲖᲥ. ᲭᲘᲜᲐᲫᲘᲡᲐᲒᲐᲜ.

წიგნი პირველი.

ფასი ყველგან ერთი შაური

გაკვეთილები

თეორეტიულის და პრაქტიულის **ᲥᲘᲛᲘᲐᲡ ᲓᲐᲚᲢᲔᲠᲘᲘᲡᲐ** ორ-გვარის ანუ იტალიურისა, ბანკის, ფაბრიკის, საგაჭრო, კომისიურის და აგრეთვე **ᲡᲐᲒᲐᲭᲠᲝ ᲐᲠᲘᲗᲛᲔᲢᲘᲙᲘᲡᲐ.**

ᲐᲓᲠᲔᲡᲘ: ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲘᲡ ქუჩა, ნამესტნიკის ბაღის პირ-და-პირ, პსაროვის სახლებში, № 14.

პატივი მაქვს გამოუცხადო თფილისის საზოგადოებას, რომ მე ვაკეთებ საუკეთესო შავსა და ფერად-ფერად **ᲛᲔᲚᲐᲜᲡ** და აგრეთვე ვყიდი წაღებისა და ეკიპაჟების ბორბლებისათვის ისეთს **ᲛᲐᲖᲡ** რომ **ᲬᲧᲐᲚᲘ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲐᲢᲐᲜᲡ.** ერთს ბოთლს მელანს ვყიდი, უბოთლოთ 50 კაპ, ბოთლიანათ 60 კაპ.

მსურველს შეუძლია ამ ადრესით მიმმართოს: ᲐᲠᲬᲠᲣᲜᲘᲡ ქარვასლაში, № 85

ᲡᲢᲔᲤᲐᲜ ᲮᲣᲓᲐᲓᲝᲕᲘ

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ „ᲒᲝᲚᲝᲡᲘ“-ᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲘᲡᲐ

(თფილისში, ბოლოვინის პროსპექტი, ანტონოვის სახლები) **ᲘᲦᲔᲑᲐ**

Ა). **ᲡᲢᲐᲢᲘᲔᲑᲡ, ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘᲔᲑᲡᲐ** და **ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲡ** შესანიშნავს აწმყო შემთხვევებზედ,

ბ). **ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲬᲔᲠᲐᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ „ᲒᲝᲚᲝᲡᲘ“-ᲖᲔ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘᲡ ᲕᲐᲓᲘᲗᲐ** და

Გ) **ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲐᲠ ᲡᲐᲮᲐᲖᲘᲜᲝ ᲓᲐ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲗ** საზოგადოთ გასაგებს ენებზედ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ „ᲒᲝᲚᲝᲡᲘ“-ᲘᲡ ᲪᲐᲚᲙᲔ №№ (ეგზემპლიარი ორ შაურად) **ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ:**

Ა). **ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ:**

I და II განყოფილებაში უფ. **Გ. Ი. ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝᲕᲘᲡ** მაღაზიებში (ბოლოვინის პროსპექტი, მდივანის სახლები) და **ᲒᲠᲘᲫᲣᲠᲝᲕᲗᲐᲜ** (Кавкаская Книжная Торговля)—წიგნის მაღაზიებში.

ბ) **ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ**—**ᲡᲒ ᲩᲝᲛᲐᲮᲘᲫᲔᲡᲗᲐᲜ** (ტიპოგრაფიაში)

Გ) **ᲕᲚᲐᲓᲘᲙᲐᲕᲙᲐᲖᲨᲘ**—**ᲣᲤ. ᲬᲘᲚᲝᲩᲡᲐᲜᲗᲐᲜ.**

ᲐᲛᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲬᲘᲤᲔᲕᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲡ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲐᲫᲔᲗᲐ ᲓᲐ ᲘᲥᲘᲗᲐ ᲛᲮᲠᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ „ᲒᲝᲚᲝᲡᲘ“-ᲘᲡ ᲪᲐᲚᲙᲔ №№ ᲒᲐᲧᲘᲓᲐᲡᲬᲔᲚᲐᲓ.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი . .	11	58	9	43	2	40	1	23
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ᲣᲒᲘᲠᲘᲚᲐ .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
ᲐᲮ.-ᲡᲔᲜᲐᲙᲘ .	—	—			8	57	4	76
ᲤᲝᲗᲘ. . .	9	40			9	75	5	42
ᲤᲝᲗᲘ . .	9	13						
ᲐᲮ.-ᲡᲔᲜᲐᲙᲘ.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
ᲣᲒᲘᲠᲘᲚᲐ. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი	9	31	7	56	9	75	5	42

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ

ᲠᲣᲡᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ:

	ᲛᲐ.	ᲙᲐ�პ
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ, ᲤᲝᲗᲘᲡ . .	1	—
ᲑᲝᲠᲡ, ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ, ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲘᲡ	-	50
ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘᲡ, ᲠᲔᲓᲔᲡᲐᲡ, ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ	2	—
ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ, ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲘᲡ . .	2	—
ᲠᲣᲡᲗᲐᲚᲔᲗᲨᲘ, ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐᲨᲘ	3	—
ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ.	3	50
ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ	3	75

ᲤᲝᲡᲢᲐ

ᲐᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ: ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲗ, ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ—ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲙᲕᲘᲠᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ. ᲖᲣᲒᲓ. ᲝᲠᲨ. ᲓᲐ ᲡᲐᲛᲨ.

ᲑᲑᲝᲠ.—ᲞᲐᲠᲐᲡᲙ. ᲓᲐ ᲝᲠᲨ. ᲥᲐᲮᲔᲗᲘᲡ—ᲡᲐᲛᲨ. ᲓᲐ ᲨᲐᲒ. ᲑᲐ ᲡᲐᲛᲨ.

ᲑᲑᲝᲠ.—ᲞᲐᲠᲐᲡᲙ. ᲓᲐ ᲝᲠᲨ. ᲥᲐᲮᲔᲗᲘᲡ—ᲡᲐᲛᲨ. ᲓᲐ ᲨᲐᲒ. ᲑᲐ ᲡᲐᲛᲨ.

ᲑᲑᲝᲠ.—ᲞᲐᲠᲐᲡᲙ. ᲓᲐ ᲝᲠᲨ. ᲥᲐᲮᲔᲗᲘᲡ—ᲡᲐᲛᲨ. ᲓᲐ ᲨᲐᲒ. ᲑᲐ ᲡᲐᲛᲨ.

ᲑᲑᲝᲠ.—ᲞᲐᲠᲐᲡᲙ. ᲓᲐ ᲝᲠᲨ. ᲥᲐᲮᲔᲗᲘᲡ—ᲡᲐᲛᲨ. ᲓᲐ ᲨᲐᲒ. ᲑᲐ ᲡᲐᲛᲨ.

ᲑᲑᲝᲠ.—ᲞᲐᲠᲐᲡᲙ. ᲓᲐ ᲝᲠᲨ. ᲥᲐᲮᲔᲗᲘᲡ—ᲡᲐᲛᲨ. ᲓᲐ ᲨᲐᲒ. ᲑᲐ ᲡᲐᲛᲨ.

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲒᲐᲠᲔᲗ:	ᲙᲐᲪ
ᲚᲘᲐ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ	4
ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲡ (ᲡᲐᲛᲘ ᲛᲘᲡᲮᲐᲚᲘ) .	8

ᲑᲘᲠᲟᲐ

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 7 ᲓᲕᲘᲜᲝᲑ.	ᲛᲐᲜ.	ᲙᲐᲪ
ᲔᲠᲗᲘ ᲤᲐᲜᲘᲗᲘ ᲚᲘᲠᲘᲡ:		
ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ 24 ᲞᲔᲜᲡ.	—	78
ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ 250 ᲤᲐᲜᲢᲘᲛ.	—	81
ᲛᲡᲙᲝᲜᲢᲘ (ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲘᲡᲨᲕᲘᲡ)	7½	—
ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲑᲘᲚᲔᲗᲘ 5%	94	50
ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘ (ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡᲣᲚᲘ)	207	25
ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘ (ᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲔᲡᲘ)	202	50
ᲑᲘᲠᲐᲝᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘ:		
ᲗᲤᲘᲚ. ᲡᲐᲐᲖᲜ. ᲑᲐᲜᲙᲘᲡᲐ.	—	—
ᲮᲔᲠᲡᲝᲜᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ (5½)	85	25
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ (5%). . .	85	50
ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘ:		
ᲠᲘᲒᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ	177	—
ᲤᲝᲗᲘ-ᲗᲤᲘᲚ. ᲠᲙᲘᲜ. ᲒᲖᲘᲡ	—	—
ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲪᲣᲪᲮ. ᲒᲔᲛᲘᲡ	527	—
ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘᲡ	225	—
ᲞᲘᲠᲕ. ᲡᲐᲖᲦᲕᲔᲒ. ᲡᲐᲖ.	745	50
ᲞᲔᲢᲔᲠᲑ. ᲡᲐᲖᲦᲕᲔᲒ. ᲡᲐᲖ.	235	50
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲔᲒ. ᲡᲐᲖ.	206	-

ᲛᲐᲖᲐᲜᲓᲐ

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ, 11 ᲓᲕᲘᲜᲝᲑ.	ᲛᲐᲜ	ᲙᲐᲪ
ᲤᲥᲕ. ᲗᲔᲗ. ᲑᲐᲜᲯᲘᲡᲐ, ᲤᲣᲗ.	1	90
ᲤᲥᲕᲘᲚᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ. . .	1	45
ᲫᲔᲠᲘ ᲤᲣᲗᲘ. . . .	1	25
ᲑᲐᲛᲑᲐ ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡᲐ, ᲤᲣᲗᲘ .	8	20
—ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲐ, ᲤᲣᲗᲘ. .	8	50
ᲑᲐᲠᲔᲜᲢᲘᲚᲘ ᲑᲐᲛᲑᲐ ᲤᲗ.	9	50
ᲛᲐᲢᲚᲣᲚᲘ ᲗᲣᲨᲣᲠᲘ ᲤᲗ .	7	—
—ᲗᲐᲠᲐᲥᲐᲛᲘᲡᲐ ᲤᲗ. .	3	50
ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘ ᲜᲣᲮᲣᲠᲘ ᲡᲢ.	3	—
ᲭᲘᲠᲘ, ᲤᲣᲗᲘ. . .	5	80
ᲭᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲘ ᲤᲣᲗᲘ.	8	—
ᲡᲢᲔᲐᲠᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲘ, Ფ.	12	4
ᲮᲝᲠᲪᲘ ᲫᲠᲝᲮᲘᲡᲐ, ᲚᲘᲢ.	—	54
—ᲪᲮᲔᲠᲘᲡᲐ, ᲚᲘᲢᲠᲐ. .	—	63
ᲡᲞᲘᲠᲢᲘ, ᲒᲠᲐᲓᲣᲡᲘ .	—	12
ᲨᲐᲥᲐᲠᲘ, ᲑᲠᲝᲪ. ᲤᲣᲗᲘ .	8	20
—ᲤᲮᲔᲜᲘᲚᲘ ᲤᲣᲗᲘ . .	7	20
ᲣᲐᲜᲐ ᲒᲝᲒᲕᲐᲚᲘ, ᲤᲣᲗᲘ .	26	—
ᲮᲘᲗᲘ ᲥᲣᲜᲯᲣᲗᲘᲡᲐ ᲤᲣᲗ.	12	—
ᲠᲘᲥᲝᲠ ½ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲚᲘ. .	8	28

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11 Октября 1877 г. Типографія Меликова. ᲑᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ Ს. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ Ს. ᲛᲔᲐᲮᲘ.